ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1968393

ნომერი: AR1316636

თარიღი : 13.06.2015

გაცემის თარიღი : 22.06.2015

გაცნობის თარიღი : 23.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ჩიტიძე პ/ნ 01002015068
- თბილისი, დ. გამრეკელის ქ 19

ორგანიზაცია:
- ფაინ თრი გრუპ კოდი: 404948802

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1316636 განცხადება რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით 01.72.14.014.633) საზღვრების კონფიგურაციაში ცვლილების შეტანას, გაცნობებთ, რომ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

განხილვის შედეგად მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ესკიზის მიხედვით ხდება გადაფარვა მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკ. კოდით 01.72.14.014.621), რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით წარმოადგენს თვითმართველი ერთეულის საკუთრებას. შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ თვითმართველის თანხმობა (რისთვისაც უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს) მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით. ამასთანავე უნდა დააზუსტოთ მოთხოვნა, და მოთხოვნის ტექსტში ვრცლად ჩამოაყალიბოთ მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების საფუძველი.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტელ: 2378346;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.